დამატებითი შეთანხმება №1

მხარეთა შორის „უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ“ 14.12.2017წ.

გაფორმებულ №14/12-17 ხელშეკრულებაზე

ქ. თბილისი 21.05.2018წ.

სს „ელმავალმშენებელი“ (ს/კ 200002068), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის დავით გორგოძის სახით, შემდგომში „გამყიდველი“ ერთის მხრივ და შპს „ჯთჯ“ (ს/კ 405146952), წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ თითბერიძის სახით, შემდგომში "მყიდველი", მეორეს მხრივ, მხარეთა შორის „უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ“ 14.12.2017წ. გაფორმებული №14/12-17 ხელშეკრულების მე-4 პუნქტის შესაბამისად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გამიჯვნის შედეგად სერვიტუტის საგანი დაიყო ნაწილებად და შესაბამისად მინიჭებული აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული საკადასტრო კოდები, ვაფორმებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას შემდეგზე:

1. სს „ელმავალმშენებლის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდებით:

   01.12.01.003.211

   01.12.01.003.213

   01.12.01.003.233

   მდებარე ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. №84-ში, დაიტვირთოს უვადო და უსასყიდლო სერვიტუტით „მყიდველის“ - შპს „ჯთჯ“ - ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, მიწის ნაკვეთების, რომელთა საკადასტრო კოდებია:

   01.12.01.003.176

   01.12.01.003.183

   სასარგებლოდ, მხარეთა შორის „უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ“ 14.12.2017წ. გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

2. წინამდებარე დამატებითი შეთანხმების მიზნებისთვის, სერვიტუტით იტვირთება შემდეგი ფართობები:

   2.1. ს/კ 01.12.01.003.211 - რეგისტრირებული 1990კვ.მ. ფართობიდან სერვიტუტით იტვირთება 1960კვ.მ.;

2.2. ს/კ 01.12.01.003.213 - რეგისტრირებული 1919კვ.მ. ფართობიდან სერვიტუტით იტვირთება 1684კვ.მ.;

2.3. ს/კ 01.12.01.003.233 - რეგისტრირებული 2286კვ.მ. ფართობიდან სერვიტუტით იტვირთება 2266კვ.მ.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მხარეთა შორის 2018 წლის 1 მაისს გაფორმებული დამატებითი შეთანხმება №1;
4. წინამდებარე დამატებითი შეთანხმების გაფორმების ხარჯები ეკისრება „მყიდველს“;
5. დამატებითი შეთანხმება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს, ხოლო ერთი - საჯარო რეესტრს;
6. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ერთვის ძირითად ხელშეკრულებას და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს; დამატებითი შეთანხმების ტექსტი სრულად შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა ნებას, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„გამყიდველი“	„მყიდველი“
სს „ელმავალმშენებელი“ ს/კ 200002068	შპს „ჯთჯ“ ს/კ 405146952
გენერალური დირექტორი დავით გორგოძე (პ№01001012589)	დირექტორი ზურაბ თითბერიძე (პ/ნ 61004003058)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180573522
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.05.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნანი სიდამონიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ #27
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593-32-67-97
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	75495284914518

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის ოცდაერთ მაისს მე, ნოტარიუს ნანი სიდამონიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №27-ში მომმართეს სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა დავით გორგომემ (დაბ. 01.06.1959წ. პ № 01001012589) და ზურაბ თითბერიძემ (დაბ.06.08.1974წ. პ № 61004003058) რომელთაც წარმოადგინეს დოკუმენტი (21.05.2018 წლის მხარეთა შორის " უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ " 14.12.2017 წლის გაფორმებულ # 14/12-17 -ხელშეკრულებაზე, დამატებითი შეთანხმება# 1 ზე) სამ ეგზემპლიარად და მოითხოვეს მასზე თავისი ხელისმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. ამის შემდეგ დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე, რომ ნოტარიუსი ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერების ნამდვილობას და პასუხს არ აგებს მის შინაარსზე და მასში მოყვანილ ფაქტებზე. ასევე განვუმარტე სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მე-2 თავის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტი, რომლითაც ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა წინამდებარე დოკუმენტის კანონმდებლობასთან შეუსაბამისობის ან ხელმომწერების ნების არაადეკვატურად ასახვის გამო. რის შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ (სულ 12 ხელისმოწერა).

გადახდილია სანოტარო საზღაური: 24.00ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლისა , დღგ 4.32 ლარი და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა, სულ 30.32 ლარი.

ნოტარიუსი: /ნანი სიდამონიძე /

21-05-2018 14:26